

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი (2025 წლის სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანგარიში)

2025 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამით დაფინანსებულ ხუთწლიან სამეცნიერო-კვლევით პროექტზე - „საქართველოს სოციალური ისტორია: საზოგადოება და კულტურა“ (ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი გიორგი ჭეიშვილი). პროექტის ერთ-ერთი მიმართულების დაგეგმილი თემის: „ადილე-ჩერქეზთა და ყაზარდოელთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემები: ისტორია და თანამედროვეობა“ - შესასრულებლად მოეწყო საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია მესტიის მუნიციპალიტეტში. ეთნოგრაფიული მასალა შეგროვდა ეცერის, ბეჩოს, ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, კალის, უშგულის თემებში. ასევე, პროექტის ერთ-ერთი მიმართულების - „სოციო-კულტურული რეალიები საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“ მიმდინარე წელს დაგეგმილი თემის - „ლეჩხუმის ტოპონიმიკური შესწავლა (ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმი),“ შესასრულებლად მოეწყო საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ცაგერის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, სოფლებში: ლასხანა, ჩხუტელი, გვესო, აღვი, ნასპერი, ქვედა ცაგერი, ზარაგულა, ლუხვანო, ოყურეში, ჭალისთავი (მდინარე ცხენისწყლის ხეობა) შესწავლილი იქნა ტოპონიმები; გამოკითხული იქნა 12 ინტერვიუერი; აღნიშნულ სოფლებში დაფიქსირებული იქნა 400-მდე ტოპონიმი.

ექსპედიციების დროს მოპოვებული ახალი მასალა დამუშავდა და გამოყენებული იქნა წლიურ ნაშრომებში.

ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი სამეგრელოს გვარსახელების მიხედვით (FR-22-1932, 2023-2025 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა); 2) ანატორის აკლდამაში დაკრძალული პირების ანთროპოლოგიური და გენეტიკური კვლევა - სიკვდილის გამომწვევი მიზეზების შესაძლო კავშირი ინფექციურ დაავადებებთან (FR-24-17002, 2025-2027 წწ., ხელმძღვანელი მარია ალექსანდრა სპიროუ); 3) უცხოური კაპიტალი საქართველოში და დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციები XX საუკუნის პირველ მესამედში (FR-21-7848, 2022-2025 წწ., ხელმძღვანელი არჩილ კოხრეიძე); 4) „რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველო: გლობალური და რეგიონალური კრიზისის ლოკალური შედეგები“ (FR-23-2282, 2024-2026 წწ., ხელმძღვანელი გიორგი ჭეიშვილი); 5) „თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის კულტურული ფენომენის შესწავლა სამხრეთ კავკასიაში: ანთროპოლოგიური და გენეტიკური კვლევა, ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე“ (FR-23-17430, 2024-2026 წწ., ხელმძღვანელი ჰარალდ რინგბაუერი); 6) ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში (ემდგნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს) (CS-II-24-036, 2024-2025 წწ., ხელმძღვანელი გიორგი ჭეიშვილი).

2025 წელს ინსტიტუტის 21 მეცნიერმა მონაწილეობა მიიღო 22 ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში, რომლებიც ფინანსდებოდა სხვადასხვა ფონდის (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

საქართველოს საპატრიარქო, აშშ-ს National Science Foundation) მიერ სხვა ორგანიზაციების (თსუ; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი; ჩერქეზული კულტურის ცენტრი; ოქსფორდის უნივერსიტეტი) ბაზაზე.

2025 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნდა 78 ნაშრომი (მონოგრაფია/წიგნი/სახელმძღვანელო/სტატია), მათგან - 11 საზღვარგარეთ; ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული იქნა 87 მოხსენება (74 - საქართველოში, 13 - უცხოეთში).

აღსანიშნავია, რომ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში და მისი ორგანიზებით 2025 წელს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

24-27 ნოემბერი - საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 135 წლისთავისადმი, ორგანიზატორები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ს/ს ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრებმა წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან. სულ წამოდგენილი იყო 69 მოხსენება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

19 დეკემბერი - ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებიდან. სულ წამოდგენილი იყო 11 მოხსენება.

დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, ISBN 978-9941-8-7954-8 და DOI: 10.51364/sourcestudies.2025.12.19.1



2025 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: „ქრონოსი“ N 6; „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N 29; „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XXV; „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ VI (32); „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXVII და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ევროპაში (ეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს)“ რჩეული მოხსენებების კრებულის ელ-ვერსია: <https://1924.tsu.ge/leng/1/14>



გარდა სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოებისა, მიმდინარე წელს ინსტიტუტმა განახორციელა სხვა საქმიანობაც, რისი აღნიშვნაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

2025 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

- ახალი ერთეულების მიღება:

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ერთეულები განაწილდა შემდეგ ფონდებში:

-) ქართულენოვანი წიგნები.
-) ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები.
-) ევროპულენოვანი წიგნები.
-) რუსულენოვანი წიგნები.
-) ენციკლოპედიები და ლექსიკონები.


➤ ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის მნიშვნელოვანი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, მთარგმნელისა და ხელოვნებათმცოდნის, **შალვა ლეჟავას** მიერ შემოწირული წიგნადი ფონდი, რომლის ტექნიკური დამუშავების პროცესი მიმდინარეობს.

➤ **კატალოგიზაცია:**


ბიბლიოთეკის ფონდებში 2025 წელს შემოსული ახალი ერთეულების მონაცემები შევიდა საინვენტარო ნუსხა-კატალოგში და ერთეულები დამუშავდა ტექნიკური თვალსაზრისით.

➤ **მკითხველთა მომსახურება:**

2025 წელს მკითხველებზე საბიბლიოთეკო ფონდების წლიურმა მოძრაობამ შეადგინა - 174 ერთეული; მკითხველებზე გაიცა - 83 ერთეული; ბიბლიოთეკაში დაბრუნდა - 91 ერთეული.



➤ 2025 წლის ყველაზე აქტიური მკითხველი - **ვალერიან ვაშაკიძე** - დაჯილდოვდა გამოცემით - „მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია“. გამომცემლობა „ელფი“, 2016.



ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ისტორიული და ეთნოლოგიური საარქივო ფონდი, რომელიც უნიკალურია თავისი მასალით. 2025 წელს ინსტიტუტის საარქივო ფონდში სამუშაოები მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით:

I. საარქივო მასალების პოპულარიზაცია და გამოყენება:

ა(ა)იპ თბილისის ინგუშურ ცენტრს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტისათვის - „საქართველოს ინგუშოლოგიურ კორპუს“-ში (CS-I-24-060, ხელმძღვანელი: ხვთისო მამისიმედიშვილი) გამოსაქვეყნებლად გადაეცა ინსტიტუტის საარქივო ფონდებში დაცული ინგუშური მასალები.

II. საარქივო მასალის დიגיტალიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა: მიმდინარეობს ფოტოფონდში დაცული მიკროფირების დიგიტალიზაცია (ციფრულ მატარებლებზე გადატანილია დაახლოებით 5 000 კადრი).

III. მასალის სისტემატიზაცია და აღრიცხვა:

- ⌋ მიმდინარეობს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გაცეფრულებული მასალის მონაცემების დამუშავება და მათი ერთიან ბაზაში შეტანა.
- ⌋ მიმდინარეობს დიგიტალიზირებული მიკროფირების სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და ერთიანი მონაცემთა ბაზის შედგენა.
- ⌋ დასრულდა მზია შველიძის საარქივო მასალების დეტალური დამუშავება, პირად საარქივო ფონდად ჩამოყალიბება, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვა.

IV. მკითხველთა მომსახურება:

- ⌋ საარქივო განყოფილება მუდმივად აწვდის ინსტიტუტის თანამშრომლებს მასალებს წლიური თემებსა და სხვა სამეცნიერო კვლევებში გამოსაყენებლად.
- ⌋ ინსტიტუტის არქივი ყოველწლიურად აწვდის საარქივო ფონდებში დაცულ მასალებს როგორც დამოუკიდებელ მკვლევრებს, ასევე სხვადასხვა ინსტიტუციებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პერსონალს.

2025 წელს გრძელდებოდა ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი - „საინსტიტუტო საუბრები“, რომელზეც წარმოდგენილი იყო მოხსენებები (სულ 8 მოხსენება) როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ასევე მოწვეული მეცნიერების მიერ.

მიმდინარე წელსაც ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია აგრძელებდა თანამშრომლობას მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის

ინსტიტუტის არქეოგენეტიკის დეპარტამენტთან (გერმანია), ხორციელდება ერთობლივი საგრანტო პროექტი: „თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის კულტურული ფენომენის შესწავლა სამხრეთ კავკასიაში: ანთროპოლოგიური და გენეტიკური კვლევა, ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუასაუკუნეებამდე“ (FR-23-17430, ხელმძღვანელი - ჰარალდ რინგბაუერი), რომელიც დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია ასევე თანამშრომლობს ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის ფიზიკური ანთროპოლოგიის ლაბორატორიასთან (იტალია), ტარდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები.

7 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიას ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ კავკასიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ცნობილი ბიოარქეოლოგი და ანთროპოლოგი, ილინოისის უნივერსიტეტის მკვლევარი **მორინ ელიზაბეთ მარშალი** ეწვია. ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა - **ლიანა ბითაძემ** ამერიკელ მეცნიერს, ასევე, ანთროპოლოგებს იტალიიდან, გერმანიიდან და სხვა ევროპული, ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან, დაათვალიერებინა ლაბორატორია, გააცნო აქ დაცული მნიშვნელოვანი კრანოლოგიური კოლექცია და ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევები.



მიმდინარე წელს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **დავით ჭითანავა** და მეცნიერი თანამშრომელი **შორენა ლალიაშვილი** უცხოელ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობდნენ აშშ-ს ნაციონალური სამეცნიერო

ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში - „*Genetic History of Western Georgia and its role in the settlement of Eurasia*“ (#BCS-1824826, ხელმძღვანელი თეოდორ შური, 2022-2025 წწ.).

2025 წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამაში - „ქართული თვითმყოფადობა,“ რომლის ფარგლებშიც წაკითხული იქნა ლექციები სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

გიორგი ჭიშვილი, თემები: „ქართველი“-ს მნიშვნელობა შუა საუკუნეებში: ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციის ძირითადი ეტაპები;“ „საქართველო IV-VI ს.ს. ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის;“

ვალერიან ვაშაკიძე, თემა: „სახელმწიფო ტერიტორიის აღქმა შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში.“

ალექსანდრე დაუშვილი, თემა: „საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები საბჭოთა რეჟიმის დროს (1921-1977 წწ.).“

ელდარ ბუბულაშვილი, თემები: „ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის;“ „ქართველი საერო და სასულიერო პირები ეკლესიის უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში;“ „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი შედეგები;“ „წმ. მეფე დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკა;“ „საქართველოს ეკლესიის როლი XVIII საუკუნის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის მოღვაწეობა.“

ქეთევან ქუთათელაძე, თემები: „მონღოლთა ასწლოვანი ბატონობა;“ „ საქართველოს ეკლესიის როლი XVIII საუკუნის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის მოღვაწეობა;“ „გაერთიანებული სამეფოს-საქართველოს წარმოქმნა. საქართველო ბიზანტიისა და სელჩუკების პირისპირ (X-XI საუკუნეები);“ „საქართველო VII-IX საუკუნეებში: არაბებს, ბიზანტიას და ხაზარებს შორის;“ „საქართველო XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში: ბრძოლა ქართველობისათვის ოსმალეთისა და სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ.“

ეკა კვაჭანტირაძე, თემები: „ღირებულებითი კრიზისი ქართულ და ევროპულ იდენტობაში (შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე);“ „ქართული და ევროპული იდენტობა ისტორიულ რეტროსპექტივაში.“

ლავრენტი ჯანიაშვილი, თემა: „ქართველთა ყოფა და კულტურა შუა საუკუნეებში.“

2025 წლის 8-26 ივნისს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ქეთევან ხუციშვილმა** და ამავე განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის დოქტორმა **როზეტა გუჯეჯიანმა** იტალიაში - მესინის უნივერსიტეტში, უძველეს და თანამედროვე ცივილიზაციასთან კვლევის დეპარტამენტის დოქტორანტებისათვის წაიკითხეს საჯარო ლექციები თემაზე: „ეთნოგრაფიულ მონაცემთა შეკრების მეთოდები და გამოწვევები.“

28 აპრილი-2 მაისი - საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ქეთევან ხუციშვილმა** ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი) წაიკითხა ლექციების ციკლი

თემაზე: „პოსტ-საბჭოთა ცვლილებები და სასაზღვრო ურთიერთობები: სავლე ანთოპოლოგიური პერსპექტივა.“

2025 წლის 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის კონკურსის - „მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის“ ფარგლებში, მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, საპატიო სიგელით დააჯილდოვა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი - ვალერიან ვაშაკიძე და კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი - როლანდ თოფჩიშვილი.



მიმდინარე წლის 26 დეკემბერს საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ქეთევან ხუციშვილი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი როზეტა გუჯაჯიანი საქართველოს პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტისაგან დაჯილდოვდნენ მაღლობის სიგელით იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ შეტანის საქმეში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, განსაკუთრებული ძალისხმევისა და მიზნისადმი ერთგულებისთვის.



მიმდინარე წელს ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის დოქტორმა - **სოფიო ქადაგიშვილმა** მოიპოვა საგრანტო დაფინანსება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში. სოფიო ქადაგიშვილი, როგორც მიწვეული მკვლევარი 12 თვის განმავლობაში განახორციელებს კვლევით პროექტს: „*ქართული იდენტობა შუა საუკუნეებში (შედარებითი ანალიზი)*“ (UOGSP-25-010) ოქსფორდის უნივერსიტეტში, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების განყოფილებაში, ინტერდისციპლინარული კვლევების სკოლაში.

2025 წელს ავტორთა კოლექტივის (ინსტიტუტიდან: გიორგი ჭეიშვილი, ვალერიან ვაშაკიძე, ალექსანდრე დაუშვილი, ლელა მიქიაშვილი) მიერ შესრულებულ მონოგრაფიულ ნაშრომს - „კავკასიის ისტორია“ (ორტომეული) მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია.



2025 წელს ინსტიტუტმა მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსახლებლად (RIM 25-352). გრანტით შეძენილი იქნება სკანერი და რენტგენის აპარატი, რომლებიც

ხელს შეუწყობს ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევების მოდერნიზაციას და ანალიტიკური კომპონენტის გაუმჯობესებას.

ფუნქციონირებს ინსტიტუტის ვებ-გვერდი: <https://ihe.tsu.ge> რომელიც მუდმივად ახლდება ინფორმაციით.